

1923.

769

1-12

2.40302

11

საბავშვო ჟურნალი



A. KOSKINEN. W. W. W.

ს ა ბ ა შ ჯ უ რ ნ ა ლ ი

524

მეცნიერება

წელიწადი მე-XIX № 11—12 ნოემბერი და დეკემბერი 1923 წ.



ბატიბუტს აკეთებენ.



83

შ ი ნ ა ა რ ს ი.

1. ბავში და ბოლილა, — ლექსი მიმქრალისა	3
2. მაკოცე ფისო, — ლექსი ილია სიხარულიძისა	4
3. ნაცარ ქექია კიკილა (ზღაპრი — აშბაფი სამ მოქმედებად. დასასრული) დ. ნახუცრიშვილისა	6
4. ზამტრის სურათი, — ლექსი ს-კ-ლ-ი-სა	26
5. სურათებიანი წიგნი ზამთარში, — ლექსი თარგმ. შ. აფხლოსისა	28
6. ოწხის თევზი, — გ. ჯ — ის	32
7. ცხოველების ძილი ზამთარში, — თარგ. ვიქტორიასი	34
8. გამოთქვები, — მუსიკა თაქთაქიშვილისა სიტყვები მიმქრალისა	36



247.

ბავშვი და ბილილა.

ახ, ვერ გაგატან შემოდგომის ქარს,
რა ვქნა, მიუვარხარ, ჩემო ბილილა!
ვერ დავივიწყებ მაისის სიზმარს:
თვალ-წინ შესატყვის ვარდების დილა.

და თუ დაჰქროლებს მრისხანე ქარი,
ნაპრალებს იქით გადაგაცილებს,
მაშინ მე, როგორც შორი სიზმარი,
ჩემს წიგნში ჩავსდებ შენს სიგელს.





მაკოცე, ფისო!...

მაკოცე, ფისო! აი, ძაა!.. ასე!..
კი არ დამკაწრო! ნუ ახენ ბრჭყალებს.
მოდო, რმეს გასძევე, შენ მებაასე..
ჰა, კიდევ ზური! ნუ ხუჭავ თვალებს.
აგერ, შესედე, ბაქურაჲ მოდის!
თქმაჲ კი არ უნდა, ისე მაკოცებს;
რას იბუზები? ნეტავ რა მოგდის?!
არა! ზურს ჩემთან ვერ აგაცოცებს.
ცხუ!... ცხუ... მიაუ!! — შეშინიო?
რის გეშინია, მხრებზე შევიწვამ...

არა, ბაქურა არაფერს გეტყვის,
 ვერც ზურს შეგიჭამს, ვერც რძეს შეგიწვამს.
 ბაქურა!! წრუპ!! წრუპ!! შესე, მაკოცა!!
 რა არის ფისო რომ იბერები?!
 ჭა, შენც მაკოცე ბაქურასავით...
 შენ არ გიუვარვარ... არ შეუერები.

ილია სიხარულიძე.





ნაცარქექია კიკილა

(ზღაპარი-ამბავი 3 მოქმედებად. მეორე მოქმედება).

მინდორი, ცალ მხარეს ტყიანი მთა, რომელსაც წინიდან ფლატე აქვს ან ძირში ლოდები ჰყრია; იქვე ახლო მოზრდილი მუხა; მეორე მხარეს მინდორზე მდინარე მოსჩანს.

გარიჟრაჟდა, ისმის ფრინველების ჭიკჭიკი და გალობა; კიკილას მუხის ქვეშ სძინავს გუდა თავით უღევს. მცირე ხნის შემდეგ გამოიღვიძებს და შმუშვნით წამოჯდება.

კიკილა. (ამთქნარებს) ოჰ, როგორ შემცივნია!.. წუხელ კარგად კი დავლობი იმ წვიმაში, — მეგონა გაფთხხდებოდი, მაგრამ გადავრჩი, როგორც მეტყობა. (აღკება და ურს უგდებს) უჰ, რა მშვენიერებაა. როგორ გალობენ ჩიტუნიები!.. ეს კი ძალიან სასიამოვნოა... (სტკბება) რა კარგია ბუნება... მინდორი, ტყე, ჩიტები, მწვანე... იფ, იფ... (სიწუმე) ეს კი კარგი, მაგრამ ახლა საით წავიდე, აღარ ვიცი. (მდინარის გაღმა გაიურება) აი, იქით თითქოს სოფელი მოსჩანს... მაგრამ ეს ტიალი მდინარე დევივით გზაში გაწოლილა... მერე რამოდენაა... როგორ გავიდე, ზომ დამახრჩობს.. (დადონებუდა) რა უბედური ვარ... წინ წყალი, უკან ჩემი რძალი! საშველი აღარ არი, ეჰ!.. (ჩაფიქრდება) ვინ იცის, აქაურობა ნადირით და დევებით სავსეა... რომელს ერთს გადურჩები... (ფიქრას უგმდეგ) მაინც გაბედვით უნდა მოვიქცე, რაკი ამ დღეში ჩავვარდი და ჩემი თავის ანაბარა ვარ... ვეცდები თავი გავიტანო როგორმე... (ყოფიანად) ვითომ მეც ყაჩაღი ვარ, ყველას შევუძახებ და შიშის ზარს დავცემ, ზოგს სხვანაირად მოვექცევი და... (ამ დრის უკმწევეს, რომ ტყიდან ვადავ საშინელა ხადსა მოდის; შამათ კანკალს დაიწყებს)

ვაიმე, ვაიმე... რა საშინელი კაცები მოდიან... სწორედ კაცის მჭამლები იქნებიან. რა მეშველება? სად დავიმალო?

(ათვალიერებს აქაურობას, ხან კლდეს მოეფარება, ხან ხეს, მაგრამ ატყობს, რომ არ ივარგებს, მერე მუხას შეჰხედავს, თავის გუდიანს ზედ აფეთხდება და იქ იმალება. მცირე ხნის შემდეგ შემოდის ორი ეჩალი ნაბდებით და იარაღით. ერთს სავსე ხერხინი ჰქონდა, რომელსაც მუხას ძარში დასდებს, და ორივე დასხდებიან.)

პირვ. ყაჩ. უპ, როგორ დავიღალე! ძალიან მძიმეა ეს ხურჯინი...

მეორე ყაჩ. შიგ სულ ძვირფასი განძი უნდა იყოს... ძალიან მდიდარია ის სოვდაგარი, რომელიც ჩვენ გავცარცვეთ...

პირვ. ყაჩ. საწყალი ცხენი ძლივსლა მიდიოდა ..

მეორე ყაჩ. მაშ რა იქნებოდა! იმისივე ლიბიანი სოვდაგარი იჯდა და ეს ხურჯინიც ზედ ეკრდა. კიდეც ღონიერი ცხენი ყოფილა...

პირვ. ყაჩ. მოდი ჯერ პური ვჭამოთ და მერე გავიყოთ... მე პური ძალიან მშია, მეძინება კიდეც... მთელი ღამე იმის ყარაულობაში გავატარეთ.

მეორე ყაჩ. არა, ჯერ გავიყოთ, მერე პური უფრო არხეინად ვჭამოთ და თვალიც მოვატყუოთ... აქ მყურრო აღვილია, არავინ შეგვაწუხებს.

პირ. ყაჩ. მართალია, მაგრამ მდევარი რომ წამოვიდეს ჩვენს საძებრად? აქ დაძინება არ ივარგებს...

მეორე ყაჩ. მაშ ტყეში შევძვრეთ მერე და იქ გამოვიძინოთ...

პირვ. ყაჩ. აგრე ემჯობინება... აბა, ახლა ვნახოთ, აქ რა არის—(ხურჯინს ზაფხ მამხსნას, მეორედ ჰშველას)

მეორე ყაჩ. მართლაც, სულ თვალ-მარგალიტი და ოქროა... რო ვთქვი...

პირვ. ყაჩ. მთელს ქვეყანას ეყოფა! ამის მეტი აღარა მინდა რა. ვიცხოვრებ ჩემთვის არხეინად.

მეორე ყაჩ. გაყოფაში მე მეტი უნდა ავიღო, რადგან მე პირველი გადავუღდე სოვდაგარს...

პირვ. ყაჩ. შენ არა და მე კი მერგება მეტი წილი: ამოდენა გზა ზურგით ვატარე ამსიმიმე განძი.

მეორე ყაჩ. ეგ რა საბუთია! განა ვირს რასაც აჰკიდებენ, სულ მას შეაქმევენ. ბიჭობა გამხედლობაა და მე იმიტომ მერგება მეტი.

პირვ. ყაჩ. შე ქალაჩუნავ, ამ ხურჯინს ვერც კი მოერიე და ახლა ბიჭობასაც იკვები! შენ არ გადუღებოდღი, მე იქ არ ვიყავ? მე შენზე ნაკლები ვარ?

მეორე ყაჩ. ნაკლები ხარ, მაშ არ იცი! შენ ვაჟკაცობისა რა გცხია, შე ბაჯაჯლუნავ! შენი ხელობაა - ვირივით აკიდებული გატარონ...

პირვ. ყაჩ. (წაშოიწვეს ხანჯალზე ხელმოკიდებით) გინდა შენი ვაჟკაცობა ახლავე დაგიმტკიცო, მართლაც და ქალაჩუნავ!

მეორე ყაჩ. (ჟურ არხეინად იყო; როცა პირველმა წაშოიწია, ამანაც ხანჯალს მოაღო სელი და წაშოიწია) ბიჭო, მე გუებნები ხმა ჩაიკმინდე, თორემ შენ წერას აუტანიხარ...

პირვ. ყაჩ. ყურებზე ხახვი არ დამაჭრა... შენი მუქარით ხუცები და ბებრუცანები შეაშინე... ისე გაგიხდი საქმეს, სულ ბუზები გეხვეოდნენ.

მეორე ყაჩ. (წაშოსტება სეზე, ხანჯალს ამოიღებს და შეტევით) აქვე გაგაქრობ ქრაქივით, თუ ხმას არ ჩაიკმენდ...

პირვ. ყაჩ. (იხივ წამოსტება და შეუტევეს ხანჯალითვე) ბევრს ნუ ყბედლობ, აი ბურთი და მოედანი! ვინც აჯობოს, ეს სიმდიდრეც იმისი იყოს; თუ ბიჭი ხარ, უარი თქვი...

მეორე ყაჩ. შენისთანა ლაჩართან დიდხანს არ მომიხდება ბრძოლა, ქიასავით გაგსრეს... (ერთშენეთს მივარდნას უპირებენ, ბრახით აუსიღ თვალებს აბრიალებენ. კაცია მუხიდან მალ-მალე გადმოიხედავს ძირს იმათ ღაპარაკის დროს, ჟურ შიშით, შერე ჩხუბს რომ შეიტყობს, გულმაგრად და ბოჯოს, როცა საქმე ბრძოლაზე მიდგება, უცებ დაიწვეს უვარიდს.)

კიკილა. (გაბნათ) არიქაა... აქ არიან, აქ.. მოუარეთ, გვიშველეთ, არ გაუშვათ... ოთხივ კუთხივ წრე მოავლეთ... აქ არიან ის ავაზაკები... აბა, ბიჭებო, მარჯვედ, ველარსად წაგვივლენ... გვიშველეთ. გვიშველეთ...

(მართლაც, მადლა შთიდან მოისმის ევარილი და გამხსევების ხმა)

ხმა. ნუ გეშინიან... მოვდივართ... აქეთ, აქეთ...

(ზოდ ღატანებაზე, თითქოს ამ უვარილზევე, გაისმის შორეული რაღაც გუგუნა, ხმაურთა თითქოს ცხენოსან რაზმისა, გარშემო ისეთი ხმაურთა ატუდება ფლატის გამოძახებით, რომ უჩალებს თავს რეტა ესხმით, გარინდებულნი არიან, შერე აქეთ-იქით იუყრებიან, ისევ ისმის კაცელას ძახილი, შორეული ხმაურთა და შთიდან ევარილი.)

კიკილა. (უვარას ბრძანების კედლით) ზოგმა გარშემო, ზოგმა ქვესენელთ, ზოგმაც ციდან ნაცარტუტა აწვიმეთ, ცოცხლები ვერ გადაგვირჩებიან... (მართლაც, მუხიდან წამოიჭრა ნატრის კორიანტული და თავზე ეურება უსილეს. ახლა კი შეშინდებიან.)

ყაჩაღ. (გარბიან უვარილით) ჯაღოქრები დაგვესხენ... ნაცარტუტა წვიმს... თავს ეუშველოთ... (ერთი კი შიასწრებს ნაბდის წაღებას, მეორეს იქ დარჩება ნაბადიც და ხურჯინიც.)

კიკილა. არ გაუშვათ, დაიჭით, დახოცეთ, ქვემოთ წამოვიდნენ... ესროლით, მოჰკალით (შთიდან უვარილი, შორეული ხმაურობა გრძელდება. კიკილა გახსრებულა.)

გადავრჩი. ის სულელები მართლა გაიქცენ... ეს კაი საქმეა! უშ, როგორ მეშინოდა!... იქ რალაცეები დარჩათ, ჩავიდე, ენახო. (წამოსვლას აპირებს, ფეხი დაუსწლტება და ხის ძარში დაეცემა ისე მაგრად, რომ კარგა ხანს უვლარ ღებება, თუმცა ცდილობს.) (კვხესით) ვაიმე, ვაიმე... თეძო, გვერდები... სულ ჩამენგრა ფერდები... (ბოლოს სოსხვით მივა ხურჯინთან და შინჯავს.)

შენი ჭირიმი, დედა! რამდენი თვალ-მარგალიტი და ოქროა!... აი, ქვეყნის სიმდიდრე! ეს კაი დავლა ვიშოვე! ახლაც მეტყვის საყვედურს ჩემი რძალი? იქნება გაუძღეს ხარბი თვალი და გული!

(ძღაუსძღაფობით ადგება, ცდილობს ხურჯინი აადოს, მაგრამ ვერ ერევა. რამდენჯერმე იმეორებს ამას და თავს დახეებს. ახლა ნაბადს აიღებს, წამოისხამს და გაიფლ გამაფლავს.)

როგორ მიხდება! ახლა მეც ყაჩაღსა ვგავარ... მარგებს კიდეც, ღამე თბილად დავიძინებ შიგ... (ფიქრის შემდეგ) ეს ხურჯინი მაინც უნდა დავშალო სადმე, თორემ რო მოვიდეს ვინმე, წამართმევს. მერე წავალ და ჩემს რძალს შევატყობინებ... ის კი არხეინად მოერევა...

(მოათვალიერებს იქაურობას, ჰინახავს ზატარა გამოქვაბულს კედელში, დიდის წვალეობით მათთვის ხურჯინს და შიგ ქმადავს, გარედან ქვას მიაღებს. გართულია ამ საქმეში; შორეული ხმაურობა ახლოვდება და მდინარის კალმით გამოჩნდება დევი.)

დევი. (გაუკვრებულა და რაღაცას ბუბუნებს. ხმაურობა თუჩმე იმის უვარილი და ფეხის სმა იყო. შორიდანვე ათვალიერებს არეშარეს და კიკილას რომ დაინახავს, შემოუძახებს)



საქართველოს
წერამწერთა
კავშირები

შენ, ჰეი, ვინა ხარ მანდ?

კიკილა. (ამ შეუფერებაზე შიშისგან შეხტება და მოწვევით დაეძგრა მიწაზე) ვაიმე, დევი!..

დევი. შენ არ გესმის? ვინა ხარ, რა სულიერი ხარ, რომ ჩემს საბრძანებელში მოსულხარ? ან მანდ რას აკეთებ?

კიკილა. (ცოტა გულგმაგრებული წამოაწევს) რა იყო, რა გაღრი-ალებს! ვერა ჰხედავ ყური მიწაზე მაქვს დადებული, უნდა გავიგო, ქვესკნელში რა ხდება.

დევი. შე ჰეივ, დავიჯერო, შენ ეგეც შეგიძლიან!?

კიკილა. (უფრო გულდად) ესეც შემიძლიან და ბევრი სხვაც, რაც შენ, მაგოდენა დევს, სიზმრადაც არ მოგელანდება... მე ვიცი რა ხდება ცაში, ქვესკნელში: მესმის ფრინველის და პირუტყვის ენა...

დევი. (დაცნებით) შენ ხომ ღაცია ადამიანი ხარ! ქვეყანაზე არც კი სჩანხარ... რას მიეღებ-მოედები, ეგენი საიდან შეგეძლება!... შენ ჰეილუა ხარ, მიწის მატლი!..

კიკილა. (ამასთანად) შემიძლია და დაგამტკიცებ კიდევც...

დევი. (აწვეტანებს) ადე, გაეთრიე აქედან, თორემ ერთ ლუკმად არ შეყოფი, თუ მანდ გამოველ... შენს თავს უშველე, გამეცალე!..

კიკილა (ვათამ გაჯაგრებული) რა თავს იგდებ, ვილაცა ხარ! როგორ მიბედავ მაგას შე ბრიყვო, ხეპრეც, თავხედო, არამზადავ, დოღრიალავ, დოყლაპიავ, აყლაყუდავ, მახინჯო, რქიანო და ბანჯგულიანო, ლაშებგახეულო, ცხვირავ, ჰყეტიავ, თავდიდავ და ტვინთხელოვ...

დევი. რატო ისე გააბი თქვენებული დიაკვანივით? რამსიგრძე ენა გქონია..

კიკილა. (ისევ) თუ მართლა შეგიძლიან რამე, აქ გამოდი და მაშინ ენახავ შენს სეირს... სულ ჩინჩხვარივით დაგამტვრევ, წნელივით დაგგრებავ, გორახივით დაგფშვნეტავ, თოვლივით დაგადნობ, რომ შენი ცოდვით მიწას ცეცხლი მოეკიდოს და ცა ცრემლად იღვრებოდეს...

დევი. (გაჰაინჯებული, ცოტა სმადაშეებით) დახე, დახე, რა დიდგულა ყოფილა ეს ჰეი, ეს ნაცარქექია... შენც თუ ღონეს იკვები, მაშ გავიჯიბრნეთ.

კიკილა. გავიჯიბრნეთ!

დევი. აბა, როგორ?

კიკილა.. აი ასე: შენ მანდ მდინარის პირ-პირ რიყეზე გაიქეცი, მე აქეთ გავიქცევი და, ვინც მეტი კორიანტელი დააყენოს ფეხით, გამარჯვებული ის იყოს...

დევი. აგრე იყოს. ერთი ამას უყურეთ, ესეც რომ მე გეჯიბრება?!. თუ გაჯობე, შეგჭამ, იცოდე..

კიკილა. თუ მე გაჯობე?

დევი. შენი ყმა გაეხდე.

კიკილა. აბა, მაშ გავიქცეთ...

დევი. აი, მე მივრბივარ... (დევი გარბის, ქვეშ სულ ტაბა-ტაბო და ღაწ-ღაწა გააქვს, მტვრი კი არ ჩანს. კაიდავს გაქცევა, ამოიღებს საღებავს, თან სწვლეტავს თავის გუდას, თან გარბის, ნაგარი გასდის გუდას და კორიანტელი დგება.)

კიკილა. (სულს ძლავს იბრუნებს დაღლილობისაგან) უჰ, უჰ, ვაიმე, დედავ, გული ამომვარდა... (ღვს) აბა, რას იტყვი? ვისი ნაჯობნია: შენი თუ ჩემი?

დევი. (დაჩხუპებით) შენი ნაჯობნია... მაგრამ ეგ არ მიჯერია... ერთი კიდევ გავიჯიბრნეთ და ვინც აჯობოს, გამარჯვებული ის იყოს...

კიკილა. კარგი, შენი ხატრით ერთიც იყოს!.. აბა, შენ მანდ აიღე მშრალი ქვა, აქ მე ავიღებ და ვინც წყალი გაადინოს, მოგებულიც ის იყოს...

დევი. აგრე იყოს... (ავლებს ქვას, ხელს მოუჭერს, ქვა დაიფეხება, წაღი კი არ გაუვა)

კიკილა (ამ დროს წუმიდ ევადის ნაჭერს ამოიღებს და ხელში შეიკრავს.) ჰო, ღონიერი ყოფილხარ, მაგრამ ვერც იმდენი, რომ ქვას წყალი გაადინო... აბა, ახლა მე მიყურე. (დასწვდება, ვითომ ქვას აიღებს, ევადს ხელს მოუჭერს და წურწურით წვენი გადინება) ახლა რას იტყვი, დევის შვილო? ვინ არის გამარჯვებული?

დევი. (უფრო დაჩხუპებით) შენა ხარ! დედამიწაზე არ სჩანხარ და აგეთი ღონიერი საიდან ხარ, მიკვირს...

კიკილა. ტანს რას უყურებ...

დევი. რაკი ეგეთი ძლიერი ხარ, მაშ დავმეგობრდეთ... დიდი ხანია ეგეთს ამხანაგს ვეძებდი... მეც მატოხელი ვარ...



კიკილა. არა, შენ ჩემი დამეგობრება არ გამოგადგება...

დევი. რატომ?

კიკილა. იმიტომ, რომ მე ბრაზიანი და გულმოსული კაცი ვარ, ვაი თუ გამაჯავრო რითმე და შემომაკედები. შენი ცოდო რად მინდა, მეც ჩემს გზაზე წავალ...

დევი. არაფერზე გაგაჯავრებ, რასაც მიბრძანებ, აგისრულებ... უეჭველად უნდა წამოხვიდე, შენი არაფერი მინდა, ყველაფერი ბევრი მაქვს...

კიკილა. (ბაღკე) რას ჩამომეკიდა ეს წყეული! სწორედ ამის ლუკმა გავხდები. (დეუს) არ შემიძლია, შინ ოჯახობა მელის...

დევი. მე ეგენი არ ვიცი... უნდა წამოხვიდე, ისე შეგინახო, როგორც ბატონი... მოუჯექი კერას, სვი, ქამე და შენს გუნებად ისიამოვნე... ჩვენ ორნი ვიქნებით...

კიკილა. (ბაღკე) ბევრი ნაცარი იქნება იმ კერაში, ეგ კარგია!.. მაგრამ ხურჯინი რომ აქ დარჩება?... რა უშავს, მერე ამასვე მოვატანინებ... (დეუს) კარგი, მაგრამ მე წყალში ფეხს ვერ დავისევლებ, მუწუკი მაქვს და მაწყენს. შენ გამოდი და გამიყვანე.

დევი. კარგი, ახლავე. (გამოდის შიშინარეს)

კიკილა. (ბაღკე) თუ ამ უტვინო სპილოს გადავურჩი, კარგი ბიჭობა იქნება... (დეუს) აბა, მოდი, დაიჩოქე. (დევი აჩოქებს, კიკილა მხრებზე შეჟღეპს, დევი ადგება და მიდის)

დევი. (იფინის) ხა, ხა, ხა...

კიკილა. რას იცინი, დევი?

დევი. ძალიან მსუბუქი ხარ, ბუმბულივით მჩატე... მე კი მეგონა ტყვიასავით მძიმე იქნებოდნი.

კიკილა. შენ მაღლობა სთქვი, რომ ასე მჩატედ გაზივარ; თუ მთელი ჩემი სიმძიმე დაგაწეება, მიწაში ჩაგაძვრენს, იცოდე...

დევი. (გაგვირგვინით) როგორ?

კიკილა. ისე, რომ უხილავ ბაწრით ცაში უჭირავთ ჩემი სიმძიმე და იმიტომ აღარ მეტყობა...

დევი. აბა, მოუშვან, ერთი შენი სიმძიმეც ვნახო...

კიკილა. (ბაღკე.) ამას თუ თავი არ ვაცნობე, გამითამამდება... (დეუს) ახლავე (გაგვირგვინით აშმაბს) მოუშვით, მოუშვით... (აშმაბებს სადგისს და კასკრში დაჰყვანს).

დევი. (სამწვავასკან შექვეარებს) არიქა, შენი ჭირიმე, უთხარ ისევ აგწიონ, თორემ კისერი დამეწვა... მალე, მალე...

კიკილა. (გახარებული) ამწიეთ, ამწიეთ... (სადგისს მშალავს) მაშ რა გევინა? ეგ მეთადრიც არ იყო ჩემი სიმძიმისა და მალე დაიყვრიე!.. შენ თუ ჭკვიანად არ მომექცევი, უარესები ვიცი და მიფრთხილდი..

დევი. ძლიერი ხარ, ძლიერი, ახლა მჯერა... შენი მონა ვიქნები... (წუღს კაღას).

კიკილა. (ცაღკ) უპ, რა დიდი წყალი ყოფილა, მე როგორ გავიდოდი... ახლაც თვალები მიჭრელდება... ახ, ჩემო ხურჯინო და ნაბადო, ვის ჩაუვარდებით ხელში...

(კაღკ მდინარეს, ზურგზე შესული მიჭრეს დევს და მათვარებას. მცირე ხნის შემდეგ შემოდის კიფ და თამრო მეორე მხრიდან; თათქოს მოიბარება, აქეთ-იქით ათვალიერებს, და ეძებენ ვასლაც.)

თამრო. გიო, რომ ვერ ვიპოვოთ ძია, რა უნდა ვქნათ?

გიო. როგორ თუ ვერ ვიპოვოთ! უეჭველად უნდა ვიპოვოთ... ვიაროთ, მთელი ქვეყანა დავაცხოთ და მივაგნებთ ან მკვდარს ან ცოცხალს...

თამრო. (თან წინ მოდის) იქნება სხვა მხარეს წავიდა, ჩვენ კი აქ ვეძებთ...

გიო. ჯერ აქ ვეძებოთ, თუ ვერა გავიგეთ რა, მერე ჩვენც სხვა მხარეს წავიდეთ... ისე როგორ იქნება, იმის მნახავი არავინ შეგვხვდეს. ვიპოვოთ! ყოჩაღად იყავ... შენ მგონი დაიღალე და იმიტომ რაღაც მაზეზებს ეძებ...

თამრო. უპ, ძალიან დავიღალე. აი იმ მუხის ქვეშ დავისვენოთ.

გიო. დავისვენოთ. მეც ცოტა დავიღალე. . (მაღლებს მუხასთან ნახაზს ნახავენ და შეერთებან.)

თამრო. გიო, ეს ნაბადი ნეტავ ვისია?

გიო. რა ვიცი, მწყემსისა იქნება, ან...

თამრო. ან ვისი?

გიო. იქნება ყაჩაღისაც არის, რა ვიცი! ხომ არ გეშინია? ნუ, გული გაიმაგრე... შენ დაჯექ, დავისვენე... არაფერი. (ათვალიერებს მუხის ქვეშ—ამ დროს მთაზე გადმოდგება ზატარა შწყეშის დიდი კომპლექტი ხელში, ტყავი აფრია და ტყავისავე ქუდი მხურავს).

თამრო (აღება და იბუჩება) თითქოს მცეცა...

გიო. აი, ნაბადი წამოისხი (წამოასხავს). დაიცა, დაიცა .. აქ ნაცარი ჰყრია... ძიას ნაცარი თუა... აი კიდევ, აი, აი... დაბნეულია...

თამრო. (დაანტერესებულად) მართლა? აბა! (აღება და ისიც მანჯავს) მართლა ნაცარია... სწორედ აქ იქნებოდა... მაშ სადღა წავიდოდა ნეტავი?

გიო. მოიცა, იქნება ეგეც გავიგოთ; ან იქნება აქვეა სადმე... (ათვლიერებს გარემოს და შენიშნავს მთაზე მწყემსს) აგერ ვილაც ბიჭია... იქნებ იცის რამე...

თამრო. აბა ჰკითხე.

გიო. (ქმასს) ეი, მეგობარო, ამხანაგო!

მწყემსი. ვის ეძახი, ძმობილო?

გიო. შენ გეძახი.

მწყემსი. რა გინდა?

გიო. დიდი ხანია აქა ხარ?

მწყემსი. უთენია საქონელი საძოვარზე გამოვრეკე და მას შემდეგ სულ აქა ვარ, მთაზე... რა გინდა?

გიო. თუ ძმა ხარ, მითხარი, ხომ არ გინახავს, აქ ერთი კაცი ყოფილა, დაბალი ტანისა, გამხდარი, ძველი ტანისამოსით და გუდააკიდებული?

მწყემსი. ახლო არ მინახავს, აქედან კი დავინახე, სწორედ მაგ აღგილას, ერთი ეგეთი კაცი...

გიო. მერე რა იქნა, არ იცი?

მწყემსი. ვიცი. დილას მაგ მუხასთან იმას ჯერ ყაჩაღები დაეცენ, — დაიწყო ყვარილი და იძახოდა მიშველეთო...

თამრო. (ტარადით) საწყალი ძია!..

გიო. მერე, რა მოუვიდა?

მწყემსი. მერე მე აქედან ხმა მივეცი, დავიწყე მეც ყვარილი და წამოველ მენახა, რა ამბავი იყო...

გიო. მერე?

მწყემსი. მერე და ვნახე, რომ ყაჩაღები გაქცეულიყვნენ და ის კი მანდ მუხის ძირას იჯდა...

თამრო. მაშ ახლა ძია სადღაა, გიო?

გიო. მოიცა... მერე რა იქნა, სად წავიდა, არ იცი?

მწყემსი. მერე მე ისევ უკან გავბრუნდი საქონლის მისაშვე-
ლებლად და ახლა მთაზე რომ გადმოვდექი, მაშინ დავინახე,
რომ ის კაცი დევს მოეკიდა ზურგზე და მიჰყავდა... აი ეს არის
ახლა მიეფარენ, მე აქედან ვუყურებდი...

გიო. ვაიმე, ვაიმე ძიავ!

თამრო. დევი ხომ შესკამს ძიას... საწყალი ძია... (ტირის)

მწყემსი. თქვენ იმ კაცს ეძებთ?

გიო. ჰო, ის ჩვენი ძიაა... უნდა წავიდეთ და დევის ხელი-
დან დავიხსნათ როგორმე.

მწყემსი. მოდი, მეც წამოვალ, პა? არ იქნება?

გიო. ძალიან კარგი იქნება... სამნი ვიქნებით.

მწყემსი. მაშ აი ასე, ზევით წამოდი, კარგი ფონი ვიცი, იქ
გავიდეთ წყალში და მერე გავწიოთ თქვენი ძიას საშველად.
მეც ახლავ ჩამოვალ. (ტყუპი მიიმაღლება).

თამრო. რა კარგი ბიჭი ყოფილა, ძია იმასაც შეგებრალა...

გიო. აბა წავიდეთ, ეს ნაბადიც თან წავიღოთ, გამოგვა-
გება... ძალიან ფრთხილად კი უნდა ვიყოთ. (უკანვე მადიან და
სტენის საღმრთო შემოუერთება მწყემსი, შედგებათ, ის რადიკალს უხსნის, ხე-
ლით გზას უჩვენებს და წაუღენ.)

ფ ა დ ა.

მოქმედება პესაძე.

დევის სახლი. დიდი დარბაზი რამდენიმე ფანჯრით და
ერთი კარით. შუაში დედაბოძი. ბუხარში ცეცხლი ანთია, ღი-
ლი კეცით პური ცხვება.

კიკილა და დევი ბუხართან სხედან, დევი მოშორებით;
კიკილა ნაცრის ქექვით ერთობა ისე, რომ დევმა ცუდი არა
იფიქროს რა მაზე.

დევი. მაშ აგრეა საქმე?

კიკილა. აგრეა აკი გეუბნები, ჩემი სიყმაწვილე და ვაჟკა-
ცობა სულ დევებთან ბრძოლაში გავატარე. სახლი, ოჯახი
ჩემთვის არ არსებობდა; ტყე-მინდვრად ვიყავ გავარდნილი.
ნადირობა და დევებთან ბრძოლა იყო ჩემი ხელობა...



დევი. ეგ ერთი ბეწვა კაცი და ეგეთს დიდ საქმეებს აეთებდი?

კიკილა. (იგინას) აბა, სწორედ აგრე ტყუუდებოდენ ისინიც... რაკი მომცრო ტანისა ვიყავ, იმათ ეგონათ, ლუკმად არ გვეყოფაო, მაგრამ, როცა შევიბმოდით ბრძოლაში, მაშინ გაიგებდენ ხოლმე, ვისთანა ჰქონდათ საქმე. ამირანი ხომ გაგიგონია?

დევი. გამიგონია, მაგრამ ნუ შემახვედროს იმას... უშ (გააჟრუღების).

კიკილა. ჰო და ის ამირანი ჩემი ბიძაშვილია... მაგრამ [ის ჩემთან ბავშია, როგორ შემედრება!.. ბევრჯერ მიცემნია იმისთვის ისე, რომ საჯდომი სულ დასწითლებია...]

დევი. (შეფაქრანესულად) დახე, დახე... რა ჰყოფილხარ ეგ ციკნა კაცი! მერე ისიც ამირანს უბედავდი?!..

კიკილა. (სიგადათ) იქნება შენთვის საშინელია იმის სახელი, ჩემთვის ბავშსა ჰინნავს...

დევი. დახე, დახე ამას, ეი!... მაშ დევებთან გიბრძოლია, ჰა? მერე და ცოცხალი როგორ გადარჩი?

კიკილა. (გაკვირვებულად შთაბლწვს) როგორ წუთუ გადარჩი! შენ არ გესმის! იმათ ჩემი ეშინოდათ! ჩემ ახალგაზრდობაში ყველაზე განთქმული იყო ბაყბაყ-დევი, — უთუოდ გაგეგონება მაინც, თუ არ გინახავს. მე და ის რომ შევიბენით, დედამიწას სულ კორიანტელი ასდიოდა ისე, რომ მზე დააბნელა... მაგრამ მოვიქნიე, ისეთი დავანარცხე, რომ თეძო კვერცხივით ჩაემშხვრა და ახლაც მგონი დაკუთებული შინიდან კარში ვეღარ გამოდის... ლექსიც გამოგვითქვეს მაშინვე ჩვენებურმა ბიჭებმა...

დევი. რა ლექსი?

კიკილა. მგონი ერთი პატარა ნაწყვეტი კიდევ მახსოვს:

კიკილა დევსა შეება,
მიწას გაჰქონდა გრიალი,
კიკილამ რომ დევი დასცა,
ადგილი დახვდა ქვიანი,
დასცა და თეძო მოსტეხა,
დააწყებინა ღრიალი...

დევი. ყოჩაღ, ყოჩაღ, ჩემო ძმობილო! მართლაც ვაჟკაცი

მყოფილხარ, რომ ეგ ჩაგიდენია... ბაყბაყ-დევი მაინც ყველას ეჯავრებოდა, ძალიან ბოროტი იყო...

კიკილა. (წათამაშებულად) მეორე — სამანდევეს რომ უნდა დაეჭიდებოდი, ვტაცე ხელში ხელი, გამოვწიე და მთელი მკლავი ბეჭიანა კი გამოვავლიჯე იმ საცოდავს. — მკლავი ხელში შემრჩა, იმან კი მორთო ღრიალი და სად გადიქარგა, დღესაც არ ვიცი...

დევი. (გაოცებულად) სამან-დევი მაშ შენ დაასახიჩრე?.. ეგ კი არ ვიცოდი!.. დახე, დახე ამას!..

კიკილა. სამან-დევიც და სხვაც პევრი, მაგრამ სახელები სადღა მახსოვს... უთვალავია... ერთი კარგად მახსოვს და გეტყვი: ომან-დევი ჩამომეკიდა აგრე შენსავით, დაეძმობილდეთო... აღარ მომეშვა. მეც დაეუძმობილდი, მაგრამ იმ პირობით კი, რომ ორს წყენინებას ვაპატიებდი, მესამეს აღარ...

დევი. (დაინტერესებულად) მერე, მერე?

კიკილა. მერე და ორი შეცოდება მართლაც ვაპატიე და მესამე კი ველარ... ერთი ისეთი სილა გავცხე ყბაში, რომ ყბაც და თავიც ბზრიალით წავიდა და იალბუზზე დაეცა, დღესაც იქა დევს თოვლში... ტანი კი ყირა-ყირა ტრიალით შავს ზღვაში გადავარდა, იმის ჩავარდნაზე ასტყდა საშინელი ღელვა და ათი გემი დაიღუპა მერე მე იმის სახლს ვკარი წიხლი და სულ ნაფოტებად და მრევრად ვაქციე .. ასე მოვსპე დედა-მიწის ზურგზე იმის ხსენებაც...

მე დევების გასაელეტად ვარ გაჩენილი. ყველა მოძალადე მეჯავრება და იმათ სინსილას ვაქრობ კიდეც, სადაც შევხვდები...

დევი. (შეფიქრანებული) ვაიმე დედიჯან!.. მე რაღას მიპირებ, ჩემო ძმობილო?

კიკილა. რაკი ჩემი ძმობილი ხარ, ორს შეცოდებას შენც ვაპატიებ და მესამეს კი, ნუ დამემღურები, ველარ... მე ეგეთი წესი მაქვს... მაგრამ შენ ხომ მშვიდი დევი ხარ, არ მაწყენინებ და ვიცხოვრებთ მეგობრულად... ნურაფრისა გეშინია!..

დევი. (უჩუმად აღება, სანადირო აარადს — შეიჯდ-ისარს აადებს და წასვლას აპირებს; შეფიქრანებული) ახლა მე სანადიროდ წავალ, სადილისთვის ნადირს რასმე მოგიტან.



კიკილა. ძალიან კარგი იქნება... ეცადე შველი ან ირემი იყოს, სხვა ნადირის ხორცი არ მიყვარს...

დევი. ვეცდები. შენ კი, ძმობილო, ამ პურს ყური უგდე, არ დაიწვას; როცა ცალი მხარე გამოცხვეს, მერე მეორე მიუფიცხე...

კიკილა. კარგი, კარგი, — ეგ აღვილია... შენც მალე მოდი, პური მალე მომშივა...

დევი. (მიმაჯღა ცაღკე) ამ ბოროტ კაცს როგორ უნდა გადავურჩე, არ ვიცი... არ ვიცი... (დაღონებ. გადის).

კიკილა. (ასევე ზის) უჰ, ძლიერ არ წავიდა ის უმსგავსი არსება! რა საძაგელია... ნეტავ როგორ მოვიშორო თავიდან... უნდა მოვიშორო კი, თორემ ერთხელაც იქნება მაგის მსხვერპლი გავხდები... მუდამ ხომ არ დაიჯერებს ჩემს ტყუილებს? დამაველებს ცალ ხელს და ვინ იცის წიწილასავით გამსრისოს.. (ჩაფიქრდება, ამ დროს ფანჯრიდან შემოახედავს გიო და ათვალიერებს იქაურობას).

გიო. (გარეთმოუფებს) ძია მარტოკაა... მოდით, მოდით. (შეუფარება).

კიკილა. (აქეთ-იქით იფურება) ვინ იყო? ბავშვის ხმასა ჰგავდა! (წამოდგება და ამ დროს კარებში გამოჩნდება გიო, თამრო და მწეშისა).

კიკილა. (გახარებული) გიო, თამრო! შევიღებო!..

გიო და თამრო. ძია, ძია!.. (გადახეუყიან კიკილას).

კიკილა. ჩემო მალხაზებო, ჩემო ჩიტუნებო!... აქ რამ მოგიყვანათ? ეს ბიჭი ვილია?

გიო. ეს მწეშისა, ახლა ჩვენი ამხანაგია, შენს საშველად წამოგვეყვა. ამას გაუგია, ყაჩაღები როგორ დაგეცენ შენ, ამან დაგინახა, დევმა როგორ მოგიტაცა...

კიკილა. კაი ბიჭი ყოფილა, რომ წამოგყალიბათ, მაგრამ ტყუილები კი სცოდნია!

თამრო. როგორ, ძია, მაშ აგრე არ იყო?

კიკილა. არა! ყაჩაღებს მე დავეცი და კიდეც დავცარცე ისინი...

მწეშისა. (ნაწეწიეთ) დევს რომ მოჰყავდი, ის რაღა იყო?

კიკილა. ის იყო, რომ მე და დევი შევიბენით, ვიბრძოლეთ, მე ვაჯობე, მერე ზედ შევჯექ და ისე წამოველ იმის სახლში.

გიო. | მართლა, ბიძა ჩემო?!

თამრო.

კიკილა. მართლა, მაშ! თქვენ სად მოჰსულხართ, აქ რა გინდათ, ეს მითხარით?

გიო. გვინდოდა გვეშველა შენთვის, თუ გაგიჭირდებოდა რამე.

თამრო. აქედან უნდა წაგიყვანოთ. დევმა არ შეგკამოს.

მწყემსი. მე კიდეც ამათ დავებმარები, თუ საჭირო იქნება!

კიკილა. დევი მე ვერას დამაკლვებს... აღამიანის ოხტში ვერც დევი მოვა. და ვერც ეშმაკი... მე თვითონ ისეთი დღე დავაყენო მაგას, რომ სულ კუდით ქვა ვასროლინო...

თამრო. მაშ არ გეშინია, ძიავ, დევისა? მე კი ძალიან მეშინია და!

გიო. ძია აქ არ არის? რის გეშინია!

კიკილა. (ფიქრადან გამოერჯივება) ნუ გეშინიათ! მაინც კარგი ჰქენით, რომ მოხველით. თქვენ ერთს საქმეში დამებმარებით და ნახავთ, რა სერიი იქნება!

ბავშები. ჩვენც ეგ გვინდა, აბა გვითხარი...

კიკილა. წადით ახლავე, რამდენიმე ბავში კიდეც იშოვეთ. ტანისამოსი გამოიცვალეთ, სხვა ჭრელ-ჭრული ჩაიცვით რამე. უფრო წითლები და ისევ მალე მოდით. გარეთ დაიმალეთ... მერე გეტყვით, როგორ მოიქცეთ. მხოლოდ ყოჩაღად და გაბედულად უნდა იყოთ... არ შეშინდეთ...

გიო. შენთან რისა გეშინია! თუნდა დევს და დათვს შევებოძოლებით...

მწყემსი. მე არაფრისაც არ შეშინია, მიჩვეული ვარ გამბედაობას...

კიკილა. ყოჩაღ, ყოჩაღ ბიჭებო! თამროც თქვენთან გულ-მაგრად იქნება, არა, ჩემო თამრიკო?

თამრო. ვეცდები, ძიავ!

კიკილა. აბა, მაშ ახლა წადით; როგორც გითხარით, ისე მოიქცით... წითელი ფერი არ დაგავიწყდეთ, დევებს ძალიან ეჯავრებათ ეგ ფერი....

ბავშები. მივდივართ, წავიდეთ. (გადაან, კიკილა გატაცებს. შერე მომბრუნდება და შოატონდება).

კიკილა. მართლა, კეცში პური ხომ დაიწვებოდა! შევაბრუნო... (მივა ბუხართან, ჩაკუნტდება და ცდილობს კეცი შეაბრუნოს; ვერ კრეფს; ამ ჩაკუნტის დროს კეცი გადაოქცევა და კიკილას გულ-შეწელობა დაემატა; ქვეშთოფადი ხედებს და ფეხებს იქნევს, წვლობს, ცდილობს როგორმე გამოუძვრეს, მაგრამ კეცს ვერ არეწვს.)

კიკილა. ვაიმე, დავიწვი, მუცელი, გული... მიშველეთ. მიშველეთ... ასე რომ მნახავს, დევი რას იტყვის.. ვაიმე, ვაიმე... დავიღუბე... (წვლობს, მკრეხუნტდება და შედარებით ძვეს, სმას ვეღარ აღწევს. მცირე ხნის შემდეგ შემოდის დევი, რომელსაც გატყუებული და შიშველი შეშვარა შეელა ჰგავდა ზურგზე, რომ დაინახავს კიკილას ამ უოფოში, სთრცხა იქვე ტახტზე შეადგის და გაქანება საშველად.)

დევი. ვაი, მოგიკვდეს ჩემი თავი, ძმობილო! ეგ რა ყოფაში ხარ?... (აღიას კეცს, ისევ ბუხართან მიაუქდება და კიკილას მოუბრუნდება) ხომ არ იწყინე რა, ან ცხელმა კეცმა ხომ არ დაგწვა?

კიკილა. (განმოსულა წამოიწვას) რა უნდა მეწყინა? რაღებს ჰბოძავ! ან რად ამაცალე? ვინ გითხრა ამაცალეო, შე უმსგავსო, თავხედო და ბრიყვო. (უბღვრის).

დევი. მე მეგონა, კეცი თუ დაეცა და ატკინა რამე მეთქი...

კიკილა. ჰო და ბრიყვი რომ ხარ, იმიტომ გიფიქრია აგრე-მაგის აწევა რა ძნელი საქმე იყო, ნეკითაც ავწევდი, თუკი მდომებოდა..

დევი. მაშ აგრე რათ იყავი?

კიკილა. კიდევ როშავს თავხედი! მუცელი ამტკივდა, ავიღე და ცხელი კეცი დავიდე, რომ მომრჩინოდა; შენ კი ამაცალე და ხელი შემიშალე... განა ეს საპატიებელია!

დევი. (დაღონებული) ვაიმე, შევცდი, მაპატიე, ძმობას გაფიცებ. ვეცდები, აღარ გაწყენინო...

კიკილა. საპატიებელი არ არის და არც გაპატიებდი, მაგრამ ეს რაკი პირველი შეცოდებაა შენი, მეტი გზა არა მაქვს, უნდა გაპატიო... მაგრამ კვლავ ფრთხილად იყავ!

დევი. უმჯველად, უმჯველად, ვეცდები. (თავის ქვეით შიდას ტახტისკენ და ცაღვს) ეს რა ჭირი გადავიკიდე, რა ჯანდაბად მინდოდა მაგის დამძობილება! ბატონად გავიხადე... ახია ჩემზე!

კიკილა. ხორცი მოიტანე, დევო?

დევი. მოვიტანე და მერე როგორი მშვენიერი შემწვარი

შველია... ხელად მოვკალ. გავატყავე და იქვე შევწვი, რომ მზამზარეული მომერთმია შენთვის...

კიკილა. ეგ კაი საქმე გიქნია, ყოჩაღ, ყოჩაღ! მაგით ძალიან მასიამოვნე... აბაა, სადილი გავშალოთ...

(თვითონაც ადგება, საშხადისში აბაან).

დევი. სანამ მე სუფრას გავშლი და კეციდან პურს გადმოვიღებ, შენ, ძმობილო, ეს ხელადა წაიღე და ქვევრიდან ღვინო ამოიღე. (ღიღს კოკას აძღვეს).

(შეტკვით) ეგ ხელადა კი არა ქინკილაა... მაგით შენ დალიე, თუ გინდა... (მზარუნდება, ზარს აიღებს და მიდის).

დევი. სად მიხვალ, ძმობილო?

კიკილა. მარანში! რაღას ვეწვალოთ წვრილ-წვრილად ღვინის ზიდვას, ბარემ ქვევრს სულ ამოვთხრი, ამოვიღებ და შემოვიტან, მაშინ უფრო გულუხვად დავლევთ...

დევი. (ცაღკე) რა ექნა, რა ვუყო ამ ადამის შვილს!! სამმა დევმა ძლივს ჩავადგეთ ის ქვევრი, ეს კი ამბობს მარტო შემოვიტანო და ისიც სავსეს!... (კეიღას) არა, შენი ჭირიმე, ნუ იზამ მაგას! ისევ მე შემოვიტან ღვინოს და რამდენიც გინდა მიირთვი (აიღებს კოკას და მიდის) შენ სუფრა გაშალე. (გაღის).

კიკილა. (სუფრას ამზადებს) იმ უზარმაზარ კოკას რომ მაძლევდა, იმ ოხერმა ის აღარ იფიქრა, მოვერეოდით თუ ვერა! არა, თუ ხრიკი არ ვუგდე მაგას, არ ივარგებს... მგონი შეშინებული კი მყავს... ან ეგ უნდა იყოს აქ, ან მე... (შეშინდას დევი სავსე კოკით, რომელსაც სუფრასთან სდგამს) ჰო, ახლა პურიც მოიტანე...

დევი. ახლავე (ჯერ ზურს მოიტანს, მერე შედის) აბა, მობრძანდი, ვისადილოთ. (დასხდებიან ერთმანეთის წინადაწინ, კეილა დედაბოძის ახლო, ცოტა ცერად კი ზის).

კიკილა. მოსტეხე პური და მომაწოდე...

დევი. ახლავე. (პური უნდა მოუტეხოს, ამ დროს ცხვირს დააგეშინებს ისე ძლიერად, რომ კეილას ბოძზე შეაჯვრეს; დევი თავს რომ აიღებს, დაინახავს, კეილა ბოძსკა.) რას შერები, ძმობილო?

კიკილა. (გაჟავრებული) როგორ თუ რას ვშერები! ეს ჯოხი უნდა გამოვაძრო და სულ თავ-პირი დავამტვრიო ამით, შე ბრიყვო და გაუზრდელი!



კიკილა. (ასევე ბოძზე) დაშავება მეტი ღა შეიძლება?!.. მე საქმლის ქამას ვაპირებ და შენ-კი ამ ღროს ჩემს წინ ცხვირს აცემინებ აგრე საძაგლად... ეს აუტანელია, ამას ველარ მოგიტმენ, აღარ შემიძლია... ახლავე გაგათავებ!

დევი. შენ კირიმე, ძმობილო, ეგეც მაპატიე, არ ვიცოდი, თუ გეწყინებოდა, თორემ როგორ გავებდავდი!.. ნუ გამომეტებ აგრე უბრალოდ... (ცაღკე) ეს ბოძი მე ძლივს ავწიე შესადგმელად, ეს კი ჯოხს ეძახის!.. (შხაეს აწეეს) ჩამოდი, მაპატიე...

კიკილა მოდი, ჩამომსვი, მე ნუ გამრჯი... (ჩამოსვას) აბა რა გიყო, ეს მეორეც მიპატიებია... მესამეზე კი მიფრთხილდი... ნულარ დამემდურები, წინათაც ხომ გამოგიცხადე...

დევი. (დაღონებული ფიქრშია წასული) კარგი, კარგი, ვეცდები.

კიკილა. (ვითომ მუცლის ტკივილისგან აგრიება და კარეთ შადის) ეს ოხერი მუცელი რაღა ახლა ამტკიცდა! ახლავ მოვალ, უჩემოდ არ ისადილო... (ცაღკე, მაშავლა) ერთი ჩემი ბიჭუნები ვნახო, რას აკეთებენ, ან მოვიდენ თუ არა?... (გაღის).

დევი. (უძრავად ზის) ბატონი ხარ! (კარგა ხანს ასე ჩაფიქრებული და განადგურული, შერე ადგება და აქეთ-იქით იუჯრება) რა ექნა? ამოდენა ქონებას როგორ დავანებო თავი! გარეთ იმოდენა ცხვარი, ძროხა, ცხენი... სახლში უთვალავი განძი.. მაგრამ აქ რომ აღარ მედგომება!.. უეჭველად ხიფათს შემამთხვევს ეს ბოროტი კაცუნა! ნეტავ თვალად ჩანდეს მაინც! სჯობია, გავეცალო; ოღონდ თავი გადავირჩინო და ქონება ოხრადაც დარჩენილა... (სახადათ ახადა უნდა აიღოს, ამ დროს შემოდის კიკილა).

კიკილა. (ცაღკე) ჩემი ჯუჯები კიდევ მოსულან წითელი ფრიალებით... მერე დევებს როგორ ეჯავრებათ წითელი ფერი, როგორც გიქმავ ხარებს... ახლავე აქ გაჩნდებიან... (დასახეს დეკს, დომილად ახადას აიღეს) რა ამბავია, დევის შვილო? იარაღი რად გინდა?

დევი. იქით უნდა გადავალაგო...

კიკილა. (მაჯა და შუაში ჩუდკება) იარაღს ხელი არ ახლო, თორემ... ახლავე დავლენწავ...

დევი. რათა?

კიკილა. — შენ სადღაც აპირებ წასვლას... ვერსად წახვალ...
(ტაშს შემოჰკრავს სამჯერ) აბა, ნახე ვინ გვეწვევიან!

დევი. ვინა?

კიკილ. შენ ჯუჯა კაცები გინახავს?

დევი. (შეხუწარებს შიშით) ჯუჯები?!.. ვაიმე!.. კიანჭველასავით რომ იკბინებიან და მატლივით ხორცსა ჰხრავენ!.. ოჰ, ის საზიზღრები... ვაიმე, მაშ დავიღუპე!.

კიკილა. აგერ უყურე. (ფანჯრებში და კარებში გამოჩნდებიან ჯუჯები და გადამული ბავშვები ჭრუდ ტანისმოსში და სულში წითელ ხელსახოცებით, რომელთაც აფრიალებენ, სახეზე წითელი ნიღბები ატარებენ).

დევი. (შეშინებულად) მიშველეთ, მიშველეთ... (ფათურაბს).

ბავშვები. (გაბმით) ძიავ, შეგვიშვი სახლში, დევის ჯაფრი გვკირს. (რამდენჯერმე იშვრებენ).

დევი. (ხეწნით) ძმობილო, აი რაც მამადია, სულ შენი იყოს ოღონდ აქედან ცოცხალი გამიშვით, გეხვეწები... (თვალებზე ხელს იფარებს) ნურც მაგ სისხლისფერს დამანახებთ, მეჯავრება, მზარავს...

კიკილა. თუ კი სისხლის სმა არ გეჯავრება, იმის ფერი რაღა გძულს?

დევი. არ ვიცი, არ ვიცი... ეგ ფერი მძულს, მეზიზღება... გეხვეწები, სულ შენი იყოს ჩემი ავლადიდება... ოღონდ უთხარ, გზა მომცენ...

კიკილა. (შრასხნად) არ შეიძლება... ახლავე უნდა გაგათავოთ... მერე კიდევ მოხვალ და აურზაურს დაიწყებ.

დევი. თავს ვფიცავ ეშმაკს ვფიცავ, ქაჯს, წყეულს, ასპიდს, წინანგს და ყველა ჩემს სალოცავებს, აქ ჩემი ფეხი აღარა ჰნახოთ...

(ბავშვები განჯარბიან თავიანთ სიტყვების გამეორებას დაბადის სმით და შრისხნად).

კიკილა. მაშ მაძლევ სიტყვას?

დევი. გაძლევ.

კიკილა. ჯუჯებო, გზა მიეცით დევს, წავიდეს აქედან და ცხრა მთას იქით გადიკარგოს... ხომ წახვალ შორს?

დევი. ას მთას იქით წავალ, დავიკარგები, ოღონდ აქედან გაგეცალოთ...

კიკილა. მაშ, აბა, წადი, გზა მშვიდობისა... არ დაივიწყო კი, მე ვინცა ვარ... თუ აქ ახლო-მახლო მოგახელე საღმე, ვაი შენი ბრალი, ველარაფერი გიხსნის...

დევი. ველარა მნახავ სამუდამოდ... მშვიდობაში მოიხმარე ჩემი უთვალავი ქონება, ეს სახლი სავსეა განძით და თქვენი იყოს... (თვალებზე ხელს იფარებს და კარში გაფარდება. პაუზები ჟრია-მულათ და ხელსახოცების ფრიალით მისდევენ უკან, რაც დია კარადან ჩნს; კიკილა კარადან გაიფურება და წუჟად იტანს. რამდენიმე ხნის შემდეგ პაუ-შები ბრუნდებიან და სახლში შემოცვივების მხარულის სიდიდით და კიკი-ლით, თან ნიღაბებს ახსნიან.)

გიო. როგორ მოკურცხლა ბანჯგვლიანმა დევმა!..

მწყემსი. იმ უბედურს მართლა შეეშინდა!.. რა მშიშარა ყოფილა!

თამრო. რა საზარელი სანახავი იყო, ადამიანს შიშით გულს გაუხეთქავს...

კიკილა. (ბავშვებს ეხვევა) ჩემო პაწია ჯუჯებო, ეს რაც მოხ-და, ხომ მნახეთ... არხეინად იყავით... ეს ქონება ახლა ჩვე-ნია, ვიცხოვროთ არხეინად... მაშ გაუმარჯოს გამბედაობას და მოხერხებას!...

ბავშვები. (მხიარულად ჰსტიან და ეფარიან) გაუმარჯოს!.. ძია კიკი-ლას გაუმარჯოს!

(ამ დროს შემოდის მართა შემოკალთაყვებული, კარებშივე შესდგება და გაკვირვებული უფურებს იშთის მხიარულებას).

მართა. ეს რა ამბავია? შეიღებო, ცოცხლები ხართ?.. მე კი მეგონა ველარა გნახავდით. (თამროს მოეხვევა).

გიო. ოჰ, დედაჩემიც მოვიდა!

კიკილა. ვინც მოვიდა, გაუმარჯოს!

ბავშვები. (უფარიან) გაუმარჯოს, გაუმარჯოს!

მართა. ეს ხომ დევის სახლია, აქ რა გინდათ, თქვე საცო-დავებო... წამოდით, წამოდით მალე!..

კიკილა. (მთავს ახლო) ჩემო რძალო, მაგას ახლავე გაიგებ... მა-ნამ კი მოდი, ცოტა ვისადილოთ, დაღლილი იქნები... მეც ძალიან მშია... ისე გაგიმასპინძლდეთ ყველას, როგორც და-სავლეთის ხელმწიფე აღმოსავლეთისას... ჯუჯებო, მოდით, მოდით...

(იპყნები ჟრამუღლით მადიან სუფრასთან).

მართა. (მადის სუფრასთან) პური კი ძალიან მშია... თქვენს ძებნაში ორი ღღეა პირში ნაწილი არ ჩამიდვია... მაინც რა ამბავია, მითხარით...

კიკილა. გეტყვით, ყველაფერს გეტყვით, შენ დაბრძანდი...

მართა. როგორ გამოცვლილხარ, ჩემო მახლო!.. გამოცოცხლებულხარ, ხომ გარგო გარეთ გასვლამ...

კიკილა. ძალიან, ძალიან მარგო... ახლა სულ სხვა ვარ, სულ სხვა... აღარაფერი მტკივა. . აბა, შემოუსხედით სუფრას! (შეშაჟსდებიან და უმზადებიან საჭმელად; უნებ კიკილა შეწყვეტებს) ვაიმე, ვაიმე — (თავსა სეღს იტაცებს).

ბავშვები. (შეშანებულნი) რა იყო, რა იყო?

მართა. (დაცინვით) კიდევ წელი ხომ არ აგტკივდა?...

კიკილა. (გაღარუღივით) არა, არა! ჩემი ხურჯინი... ჩემი სავეს ხურჯინი...

მართა. (არხეინად) შენ ხურჯინი როდისა გქონდა... გულდა კიდევ ჰო, აგერ ისიც...

კიკილა. არა. ხურჯინი, სავეს თვალ-მარგალიტით და ოქროვერცხლით... ყაჩაღებს წავართვი...

მართა. (გაბეინებს) მართლა? სად არის? ტყუილები კიდევ იცი, ვერ მოიშალო?

კიკილა. არა, მართალს ვამბობ... დამალული მაქვს გამოქვამულში.

მართა. მაშ რა გაჯავრებს, იყოს და იმასაც მერე მოვიტანთ... ჯერ პური ვჭამოთ...

კიკილა. (დაშეიადებულად) ჰოო. ეგ კარგი სთქვი, ქკვიანი ღღეა-კაცი ხარ... მაგრამ შენ თუ მოიტან, თორემ მე იმას ვერ ვერევი, ისეთი მძიმეა...


მართა. მაგაზედაც არხეინად იყავ...

კიკილა. (გაშხარუღებულად) მაშ ახლა აბა ვისიამოვნოთ. ჩემო გვრიტებო... სულ თქვენია ეს ყველაფერი!.. მაგრამ ახლავე ერთი სიმღერა უნდა შემაწიოთ. ხომ იცით, როგორ მიყვარს სიმღერა!.. აბა, სთქვით, — მეც გიმველით!

ბავშვები. ახლავე ვიტყვით... (დაღვდებიან და ევეღნი მღერაან რამეღიმე ხალხურ სიმღერას).

დ. ნახუტჩიშვილი.

ფ ა რ დ ა.



ზამთრის სურათი.

ცივა...

თოვლი ცვივა,
ცა დაბურულა;
მღალღი მთა
თეთრი საბნით
გადახურულა.

ცივა...

და ქარი ჭქრის;
ნამარცვ ხეს
მიწს ჭხრის.
ველზე—ნადირი მშიერი
ეშვილით დამწყის.

ცივა...

და მხოლოდ-და ნამევი
უფოთლო ტყეებს

მწვანე სიცილით ამშვენებს, —
 პეტრუის თეთრ დღეებს.

ცოვა..

და წამოსკუწულა
 ბურქთან კურდღელი;
 ესმის ტურების კივილი
 მანდობელ დელით.

დაუცქვეტია უურები,
 აცმაცუნებს ზირს;
 თოვლში საჭმელს ეძებს თათით,
 ვერ უძოებს და სტირს.

ცოვა...

თოფით მონადირე,
 მიზანში იღებს;
 ზაწია ცაცუნია-კი
 ამას ვერ იგებს.

იგრიბლა თოფმა, ტყვია
 რა გულში ეცა, —
 შეკუნტრუშდა... მაგრამ მწევარს
 ვერსად გაექცა.

ზატარა თვალნი მწუხარედ
 გადაეხუჭა;
 წითელ სისხლით თოვლს ქათიბი
 აეხუჭუჭა.

ს — ე — ლ — ი.



სურათებიანი წიგნი სამთარში.

კვდება საფსული, სამთარი გველის,
სიციფე, სევედა ხანგრძლივ სიბნელის.
ქარბუქი ძესცელის სიცხეს ანთებულს,
მხოლოდ ზღაპრები

ამკობენ ჩემ წიგნს დასურათებულს.

სადაც ვატარებ დროს სეტყალით—
ისე ვით კაფი გაქვავდა წყალი.
ანკარა წყართ სჩქეფს მაინც ქვებში,
მხოლოდ სად, იცით?

დასურათებულ წიგნის ზღაპრებში.

გაჭქრა სინათლე, ევაფილიც გახმა,
და ბავშვის თვალი უუურებს ასლა,
რომ: ჯოგი, ველი და ტუის სიმშუიდე,

დასურათებულ წიგნშია კიდევ.

როგორ მოვიძლუნა შენ დიდი ქება,
 წენარ კუთხის სამთრის ბედნიერებაჲ,
 სადაც გადია ნაზ მოფერებით
 გადამიძლიდა ჩემს წიგნს, შემკობილს მრავალ ფერებით.

თარგ. შ. აფხაიძისა.





ოჩხის თევზი.

იცი, აოკი, უთხრა ერთხელ მამამ თავის ვაჟს,—შე
სულ მდინარეში ხარ ანკეს-ბადით; წამოდი ჩემთან, ახლან
სხვანაირ თევზაობას განვიწყებ!

ბავში სიხარულით ფეხზე აღარ იდგა. საჩქაროდ ჩაიცვა
და წასასვლელად მოემზადა. მამამ პატარას სასობავი ბადე
და კალათი მისცა, თვითონ მხარზე დიდი ჩანთა გადაიკიდა,
ხელში ნინაბი და თოხი დაიჭირა და გზას გაუდგა.

მემოდგომის მშვენიერი დილა იყო. მზე უკვე კარგა მად-
ლა ამოსულიყო და თავის სსივეებს უჩუად უკზავნიდა დედა-
მიწას, მაგრამ იგი ისე მწვავედ არ აცხუნებდა, როგორც
ზაფხულში. ახლა მისი ნაზი, რბილი და მოალერსე სითბო
დაუსრულებელ სიამოვნებას აკრძნობინებდა ეოველ სულიერს.

მეთევზეები ჭალაში ჩავიდნენ და მდინარეს მიუახლოვდნენ.
ჭაერი არ იძროდა. ირგვლივ სრული სიჩუმე იდგა. მხოლოდ
მდინარის წუნარი ბუტბუტი და ჩხრიალი არღვევდა მუდ-
რობას.

რბილსა და მტვერიანს ბილიკზე მკზავრების ფეხის ხმას
ეურძახვილი კურდღელიც ვერ გაიგონებდა.

გოგამ გადახედა მდინარეს და ნაპირის ახლოს, მდორე
წეაღში, რივის ქვის წრეები დაინახა გამწკვრივებული.

ეს ოჩხის ორმოები იყო გაეოლებული. ცალი გვერდით, საითაც წვალი მიდიოდა, წრეები გასხნილი იყო, რომ წვალი თავისუფლად გასულიყო. აი, ამ გვერდიდან შედიოდა წვალი ორმოში.

როცა წვალი გაცივდება, თევზი ოჩხში იურის თავს, — უთხრა მამამ გოგის. — თევზს ამ დროს ასეთი მდორე და წენარი წვალი უყვარს. ხანდახან ორმოები თავაშდე იჭედება თევზით. თევზები რჩებიან შიგ, ხანამ წვალი არ ამღვრევა.

— ჩვენ რომ ორმოსთან მივალთ, წვალი ხომ ამღვრევა, და თევზი როგორ უნდა დავიჭიროთ? — შეკითხა ბავში.

— არა, შეიღო, შენ მაგის ფიქრი ნუ გაქვს, თევზი ვერ გაგვეპარება, მაგათი ხერხი მე ვიცი, — უთხრა მამამ და შეუდგა მდინარის ზირას ხმელი ბალახისა და ჩაღის მოგროვებას.

— ნეტავი თევზს როგორ უნდა მივეპაროთ — ფიქრობდა გოგი და მამას შველიდა, თუცა არ იცოდა, რისთვის უნდოდა იმას თივა-ჩაღა.

მამამ ფეხსაცმელი და მარჯალი გაიხადა, ერთი იღლია ჩაღა-თივა აიღო და მდინარეში ფრთხილად ჩავიდა. გოგიც უკან გაჰყვა. მამა მივიდა ბოლო ორმოსთან და თივა-ჩაღა ოჩხის გასხნილ ზირში ჩააწყო. ბავში ქვებს აწვდიდა ჩაღა-ზე დასაწოებად. წვალი ოდნავაც არ ამღვრეულა. — აბა, ახლა მრგვალი ბადე მომიტანე, — უთხრა მამამ შვილს.

ბავშმა სანქაროდ მიაწოდა. მამამ ფრთხილად ჩაჭყო ბადე ოჩხში და ამოიღო. ბადე სულ თევზებით იყო სავსე.

— ოჰ, რა თევზია! — სიხარულით წამოიძახა გოგიმ

და ბადეს დააცქერდა. მამამ მეორედ ჩაწყო ბადე ორმოში და უფრო მსხვილი თევზები ამოიყვანა.

— რა დიდი თევზები სცოდნია ორმოს!..— ამბობდა გახარებული ბავში.

— ეს სულ ლურჯა და მავ-თევზაა, სედავ, გოგი, რა მოდენებია, ორ მტკაველზე ნაკლები არაა არც ერთი!

წვრილი თევზი ქვებში გამერა და მხოლოდ მსხვილი დარჩა,— ზუსსნა მამამ.

მამამ კიდევ რამდენჯერმე ამოიყვანა ოჩხიდან თევზი და ჩანთაში ჩააწყო.

— უჰ, რა მშვენიერი თევზი გაგვისხლტა!.. დაიუვირა გულდაწუვეტილმა ბავშვმა, როცა ბოლოს ამოღებული ბადიდან ერთი დიდი თევზი ამოხტა და წყალში სრიალით შეცურდა.

— ეგ ციმორია; ჩვენ წელეებში ბევრია ასეთი თევზი. ძლიერ გემრიელია!

— წავიდა, მაგრამ ნუ დარდობ, შეილო: ის ჩვენს ოჩხში ჩავა სადმე; დღეს თუ ხვალ მაინც ჩვენი იქნება,— უთხრა მამამ დამშვიდებით.

თევზები სხვა ოჩხებიდანაც ამოიყვანეს. ჩანთა და კალათი გაავსეს, ორმოს ჰირი ისევ გაუხსნეს და შინისაკენ მხიარულად გასწიეს.



ცხოველების მილი სამთ- რობით.



ოგორ ატარებენ ჩვენში სამთარს გველები, სვლიკები, ღამურები, საზუნა და მრავალი სხვა ცხოველები, რომელთაც არ შეუძლიათ წასვლა ან გაფრენა თბილ ქვეყნებში?

ამნაირი ცხოველები ცდილობენ დაემალონ როგორმე დამღუპველ სიცივეს, და ხანდახან ღრმად იფლებიან დედა-მიწაში, ხაყსში, ან ქლამში. მიწას ფარავს თოვლის სქელი ფენი და სამთრის სუსხი ვერ ახწევს მიწაში დაფლულ გველამდე ან ლოკოკინამდე.

გველები თხრიან საკმაოდ ღრმა ორმოებს მიწაში და შიგნაძვრებიან. ხანდახან მთელ გროვას სძინავს ერთად; ბევრჯერ უნახავთ ამნაირი გროვა გველებისა, ოცზე მეტი, გორგალი-ვით დახვეული.

მაგრამ ცხოველები სამთრობით მარტო სიცივეს კი არ ემალებიან, იმულებული არიან დაემალონ კიდევ უფრო სა-მინელ მტერს—შიმშილს. თითქოს შიმშილს ვერსად გაეჩ-



ცევა ვერაინ: ვერც მიწის ქვეშ, ვერც წყალში, მაგრამ ეს სულ მთლად ასე არ არის. აბა, მოიგონეთ, როდის მოგმივდებათ ძალიან? რასაკვირველია, როდესაც თქვენ მოძრაობდით, ღერბოდით, ბევრი იარეთ, ან იმუშავეთ. თუ თქვენ დღის განმავლობაში სუთი-ექვსი საათით უჭმელი დარჩით, მიმშილს გრძნობთ, და როდესაც ღამით გძინავს რვა საათი ან მეტი, დილით რომ გაიღვიპებთ, მიმშილს მაინც არ გრძნობთ. ასლა ჩვენთვის გასაკებია, თუ რა არის საჭირო ცხოველებისათვის, როცა მათ დიდი ხნის მიმშილობა მოუვლით: ისინი უნდა დარჩენ უძრავად. მართლაც, ჩვენ ვხედავთ, რომ ბევრი ცხოველი ზამთარში დიდი ხნით იძინებს. ასე იქცევიან: ზღარბები, თხუნელები, ზაზუნები, კველები და ხვლიკები; ესენი იფლებიან მიწაში და იძინებენ. დათვიც-კი, როცა მოახლოვდება ზამთარი, მოაგროვებს თავის ბუნაგში ბევრ ფუნქსსა და ფიჩხს, დაწვება და იძინებს მთელი ზამთრის განმავლობაში. ეველასე უფრო ადრე იძინებენ ღამურები, რადგან შემოდგომაზე მწერები მიიმალებიან და ღამურებს აღარა აქვსთ საზრდო.

ცხელ ქვეყნებში ცხოველებისათვის დამღუპველია ზაფხულის ზაზანაქება, რომელიც ამრობს ტბებს და მდინარეებს. ასეთ ქვეყნებში ცხოველი ზაფხულობით იძინებს. მაგალითად, აფრიკაში არის ერთი თევზი: „მლამის თევზი“ ჰქვია. ეს თევზი ძალიან დიდია; ზოგი ორ არშინ ნახევარს აღემატება. ღამაში და მარდი თევზია; სხეული ზატარა, მავი ქერტლით აქვს დაფარული; ხანდახან ხმელეთზე ამოდის და მძლავრად და უხეშად მოძრაობს. მოძრაობაში ძალიან ჰგავს

გველს. ვიწრო და გრძელი ტანი აქვს. შლამის თევზს წყალში სასუნთქავად ღაუულები აქვს და სმელეთზე სასუნთქავად—



ფილტვები; ამიტომ მას შეუძლია იცოცხლოს წყალშიც და სმელეთზეც. იკვებება ეს თევზი უოველნაირი ზატარა ცხოველებით, რომლების დაჭერასაც მოახერხებს: თევზებით, ბაუაუებით, კიბორჩხით და ლოკოკინებით. მაგრამ, როდესაც დადგება ტრონიკული ზაფხული და მდინარეები შრება, ზოგიერთი ცხოველი, რომლითაც იკვებება შლამის თევზი, იხოცება ან იმალება, და მაშინ შლამის თევზი რბილ შლამში ამოთხრის ზაწია ორმოც სოროსავით, მოიკალათებს შივ და იძინებს ისე, როგორც ჩრდი-





ლოეთში ზამთრობით იძინებს ზაზუნა. შლამის თევზი წვეს ასეთ ბინაზე უმოძრაოდ მანამ, სანამ წვიმები არ დაიწყება. მაშინ-კი მდინარეები დიდდებიან; გამოღვიძებული შლამის თევზი ამოდის და იწეებს თავისუფალ ცხოვრებას.

ვიქტორია.

გაბრიელი!

Moderato

მ. თაყაიშვილი.



გამოიღვიძე.

ჯერ ზატარა, აკუანში სძინავს
 და მიღში სძინად გაეცინება.
 ხან თავს გაანძრევს და ისევ ისე
 ტბილი სიზმრებით ჩაეძინება.
 გეყოფა მიღი ჩემო ბავშვო
 გამოიღვიძე გენაცხავები
 თავისუფლების ციხეში წველში
 აღამაზდება შენი ჯგუფები



განათლების სახალხო კომისარიატის სოციალურ აღზრდის მთავარ-
მართებლობის სალიტერატურო-სამხატვრო საქციის ხელმძღვანელო-
ბით გამოცემულ წიგნების სია:

(ფასები ჩერვონცებით).

	ფასი
1. „ნაკადული“ 1921 წ. №№ 1922 წ. №№ თითო წიგ. 15 კ.	
2. „ჯეჯილი“ 1921 წ. 1922 წ. №№ „ „ 25 „	
3. „ნორჩი ძალა“, — კრებული 15 „	
4. „სამი ამბავი“, — შიო მღვიმელისა 10 „	
5. „კოკროქინა“, — დ. დონდუასი. 10 „	
6. „ბელა ბეკეა“ „ „ 10 „	
7. „შემოდგომა“, ფერად-სურათებიანი წიგნი . . . 70 „	
8. „დედაბერი, ტურა და მელია კუდი გრძელია“. 50 „	
9. „ბავშვებს“, — ლექსები გ. ქუჩიშვილისა. . . . 20 „	
10. „ტყის ზღაპარი“, — მამინ სიბირიკისა, თარგ... 20 „	
11. „ტყის სურათები“, შიო მღვიმელისა 25 „	
12. „ქიანჭველას საოცარი თავგადასავალი“ 30 „	
13. „თაქსიფულ ბავშვთა სიმღერები“ 2 „	
14. „ქართული მოძრავი თამაშობანი“ 80 „	
15. „ტროადის ომი“, — ალ. მიქაბერიძისა 80 „	
16. „იგავ-არაყნი“, — ალ. პირიანაშვილისა 30 „	
17. „სამავშო პიესათა კრებული“ 70 „	
18. „ივანე სულელი“, — ზღაპარი. ლ. ტოლსტოისა 15 „	
19. „ლურჯი ფრინველი“ 50 „	
20. „ნაკადული“ 1923 წ. თითო № 25 „	
21. „ჯეჯილი“ 1923 წ. თითო წიგნი 40 „	
22. „ზამთარი“ — ფერადი სურათებით. 50 „	
23. „უძველესი დროის ბავშვის თავგადასავალი“ . . 45 „	
24. „როგორ იცავენ თავს ცხოველები მტრისაგან“ 25 „	
25. ზღვის სიმღიდრე. 20 „	
26. რას გვიამბობს ათაბი 25 „	
27. მოძრავი სიმღერები თამაშობით გოგლიაძისა	
28. ოვიდიუსის მეტამორფოზები 30 „	
29. ნაკადული № 11—12	



1924 წ.

მიიღება ხელის მოწერა საემსწვილო დასურათებულ
ყოველთვიურ ჟურნალებზე:

მოწრდით. „**გ ე გ ი ლ ი**“ მე-XXXV წ.

მცირეწლოვ. „**ნ ა კ ა დ უ ლ ი**“ მე-XX წ.

გამოდის ყოველთვიურად.

ჟურნალი გამოდის განათლების სახალხო კომისა-
რიატის სოციალურ აღზრდის მთავარმართველობის
სალიტერატურო სამსახურს სექციის ხელმძღვანე-
ლობით.

ხელის მოწერა მიიღება თვითურად.

ცალკე „**გ ე გ ი ლ ი**“ 40 კ.

„**ნ ა კ ა დ უ ლ ი**“ 25 კ.

ქალაქ გარედ გაგზავნა ხელის მოწერის ხარჯზე.

მისამართი: ტფილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა, № 5, განათ-
ლების სახალხო კომისარიიტი, „ნაკადულისა“ და „გეგილის“
რედაქცია.

რედაქციაშივე შეიძლება სიაში ჩამოთვლილ წიგნების შეძენაც.

რედაქტორი—ხარედაქციო კოლეგია.